ხელშეკრულება № 140

ქ. თბილისი 26 აპრილი 2011წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ტატიშვილის სახით (შემდგომ- „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „ორიენტ ლოჯიკი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით (შემდგომ- „მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულებით „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" საკუთრების უფლება ორ ცალ ხმის პლატაზე – SC-5.1-1.GMB SOUNDCARD და ერთ ცალ DVD-ReWriter SATA (CPV30236000) (შემდეგში - „საქონელი").

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.შესყიდვის ღირებულება შეადგენს – 77 (სამოცდაჩვიდმეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2. ერთი ცალი ხმის პლატის ღირებულებაა – 17.50 (ჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი; ერთ ცალ DVD-Re-ის ღირებულებაა – 42 (ორმოცდაორი) ლარი.

3. ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. „საქონელი" მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების გაფორმებისა და „შემსყიდველისთვის" ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სასაქონლო ზედნადების გადაცემის შემდეგ.

4. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული „საქონელი" არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი „საქონლის" შეცვლა.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება ლარებში.

5.2.ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.3.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „მიმწოდებლის", წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

6.1„მიმწოდებელი" პასუხისმგებელია მიწოდებული „საქონლის" ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

6.2„შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული „საქონლის" ღირებულება.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 მხარემ, რომელმაც არ შეასრულა, ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

8.2.მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

9. ხელშეკრულების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 26 მაისამდე.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა და ცვლილებების შეტანა

10.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

10.2.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვადებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

10.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4.ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

10.6.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1. თუ „შემსყიდველი", ან „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1„შემსყიდველი" უფლებამოსილია „საქონლის" მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული „საქონლის" შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან

12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" დაწუნებული „საქონლის" რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4.კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე დაეკისროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ოფის-მენეჯერს სოფიო ხოპერსკას.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქ.თბილისი 0105	ქ.თბილისი
ზ.გამსახურდიას სანაპირო № 4	ბელიაშვილის ქ. № 8
სახელმწიფო ხაზინა	სს „თიბისი ბანკი"
კოდი№220101222	კოდი № 220101830
ა/ა№200122900	ა/ა № 10467147
ს/კ№204425121	ს/კ № 202052054
დირექტორი	გენერალური დირექტორი
---	---
თ. ტატიშვილი	ვ. ნასყიდაშვილი